



სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესი

### **მუხლი 1.**

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“ (შემდგომში - კოლეჯი) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესის მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომლების ჩართულობა მათი შემუშავებისა და შექმნის პროცესში.

### **მუხლი 2.**

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესს დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით ზედამხედველობას უწევს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

### **მუხლი 3.**

კოლეჯის თითოეული თანამშრომელი, მისი თანამდებობის, კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში, დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით.

**მუხლი 4.**

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოფს კოლეჯის თანამშრომელთა მიერ ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გადაცემას დირექტორისათვის.

**მუხლი 5.**

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამსართლებრივი აქტით.

**მუხლი 6.**

კოლეჯის სამოქმედო გეგმას კოლეჯის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.